



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

სწავლის სფერო: კერძო სამართალი

სამოქალაქო სამართალი

პროფესორი 1 სამტატო ერთეული

ასოცირებული პროფესორი - 1 სამტატო ერთეული

ასისტენტ პროფესორი - 2 სამტატო ერთეული

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

ასოცირებული პროფესორი - 2 სამტატო ერთეული

ასისტენტ პროფესორი - 2 სამტატო ერთეული

საკორპორაციო სამართალი

ასოცირებული პროფესორი - 1 სამტატო ერთეული

ასისტენტ პროფესორი - 1 სამტატო ერთეული

სწავლის სფერო: სისხლის სამართალი

მატერიალური სისხლის სამართალი

პროფესორი - 3 სამტატო ერთეული

ასოცირებული პროფესორი - 2 სამტატო ერთეული

სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი

პროფესორი - 2 სამტატო ერთეული

ასოცირებული პროფესორი - 3 სამტატო ერთეული

სისხლის სამართალი

ასისტენტ პროფესორი - 2 სამტატო ერთეული

სწავლის სფერო: საჯარო სამართალი

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

ასოცირებული პროფესორი - 2 სამტატო ერთეული

ასისტენტ პროფესორი - 1 სამტატო ერთეული

ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს საკონკურსო ვაკანსიისათვის დადგენილი კრიტერიუმები და მოეთხოვება:

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (პირი აირჩევა 5 წლის ვადით):

- ✓ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ✓ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- ✓ სამეცნიერო პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში, უპირატესობა მიენიჭება შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებს.

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (პირი აირჩევა 3 წლის ვადით):

- ✓ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ✓ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- ✓ სამეცნიერო პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში, უპირატესობა მიენიჭება შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებს.
- ✓ შესაბამისი სასწავლო კურსის/ სილაბუსის შემუშავების გამოცდილება

ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (პირი აირჩევა 3 წლის ვადით):

- ✓ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;

- ✓ სამეცნიერო პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში, უპირატესობა მიენიჭება შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებს.
- ✓ შესაბამისი სასწავლო კურსის/ სილაბუსის შემუშავების გამოცდილება

ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე (პირი აირჩევა 3 წლის ვადით):

- ✓ დოქტორანტი
- ✓ შესაბამისი სასწავლო კურსის/ სილაბუსის განხორციელებაში მონაწილეობის გამოცდილება

პროფესიული ნიშნით:

აკადემიურ თანამდებობაზე შესაძლებელია პირი არჩეულ იქნას პროფესიული ნიშნით, თუ მისი კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით და მას აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

- ✓ [განცხადება რექტორის სახელზე](#);
- ✓ რეზიუმე (CV) - დადასტურებული ხელმოწერით;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;
- ✓ სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (ბოლო 10 წლის განმავლობაში, წლების მითითებით);
- ✓ შესაბამის სფეროში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი ინფორმაცია (თუ არ არის მითითებული რეზიუმეში);
- ✓ სადისერტაციო თემის შესახებ ინფორმაცია (თემის სათაური, მიმართულება, დარგი - თუ არ არის მითითებული რეზიუმეში);
- ✓ არჩეული სასწავლო კურსის სილაბუსი;
- ❖ საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2020 წლის 27 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@openuni.edu.ge სათაურის ველში მიუთითეთ **„კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად“**. განაცხადი ასევე მიიღება: თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ.#2 , მე-3 სართული, ოთახი #301 (კანცელარია) .
- ❖ კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
 - 1) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა/შესწავლა
 - 2) გასაუბრება
- ❖ გასაუბრება ჩატარდება 2020 წლის 6 და 7 აპრილს
- ❖ საბოლოო შედეგები გამოცხადდება 2020 წლის 8 აპრილს.